20410484

კონფიდენციალური
I კატეგორია

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

# განკარგულება

23. 03. 2023 № 450 – 1

თბილისი

## შპს „ფავორიტი-54“-ის (ს/ნ: 216288675) ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის N17/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი დირექტორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი“-ს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის №13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შპს „ფავორიტი-54“-ის ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, ,,ვალუტის გადამცვლელი პუნქტების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 15 ნოემბრის N248/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენლობის გამო, დაეკისროს ფულადი ჯარიმა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

2. აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე - TRESGE22, შემდეგი სახაზინო კოდით 302003260.

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ამ განკარგულების აღსასრულებლად მიქცევა განხორციელდეს შპს „ფავორიტი-54“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული ვადის განმავლობაში, შპს „ფავორიტი-54“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უფლებამოსილია გადაიხადოს ჯარიმა და გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობით ან

ელექტრონული სახით შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1; ელ. ფოსტა: nonbanking.fines@nbg.gov.ge). წერილობით ან ელექტრონულ შეტყობინებას თან უნდა ახლდეს საგადახდო დავალების ასლი. გადახდის დამადასტურებელი შეტყობინების წერილობით ან ელექტრონული ფორმით საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაკისრებული ფულადი ჯარიმა არ ჩაითვლება გადახდილად და განხორციელდება მისი იძულებით აღსასრულებლად მიქცევა. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

პრეზიდენტის მოვალეობის

შემსრულებელი არჩილ მესტვირიშვილი